# ბრძანება № 1-02

გორი 22 01 2024წ.

## სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის", სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 12 იანვრის №1.1/1 ბრძანების, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (17.01.2024. N39623), განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (15.01.2024. N27696) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (16.01.2024. N30445) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის ვადები:

ა) მობილობის მსურველთა განცხადებებისა და დოკუმენტების მიღება - 2024 წლის 12 თებერვალი - 14 თებერვალი;

ბ) მობილობის მსურველთა მიერ ათვისებული კრედიტების უნივერსიტეტის ფაკულტეტის მიერ აღიარება (თავსებადობის დასკვნების შედგენა) – 2024 წლის 15 თებერვალი;

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე (თავსებადობის დასკვნაზე) მობილობის მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება და ხელშეკრულებების გაფორმება - 2024 წლის 16 თებერვალი;

დ) მობილობის წესით უნივერსიტეტში ჩასარიცხ პირთა შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვა - 2024 წლის 19 თებერვალი.

2. მობილობის მსურველ სტუდენტთა განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული შემდეგი დოკუმენტები:

ა) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი;

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები;

ე) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის ასლი.

3. უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირადი საქმე, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის დედანს;

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათს;

გ) ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტს.

4. განისაზღვროს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები:

ა) შიდა მობილობის მსურველთა განცხადებებისა და დოკუმენტების მიღება - 2024 წლის 12 თებერვალი - 14 თებერვალი;

ბ) შიდა მობილობის მსურველთა მიერ ათვისებული კრედიტების უნივერსიტეტის ფაკულტეტის მიერ აღიარება (თავსებადობის დასკვნების შედგენა) – 2024 წლის 15 თებერვალი - 16 თებერვალი;

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე (თავსებადობის დასკვნაზე) შიდა მობილობის მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება და ხელშეკრულებების გაფორმება - 2024 წლის 19 თებერვალი - 20 თებერვალი;

დ) უნივერსიტეტში შიდა მობილობით ჩასარიცხ პირთა შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემა - არაუგვიანეს 2024 წლის 26 თებერვალი.

5. საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შიდა მობილობისათვის გამოყოფილი ვაკანტური ადგილები განისაზღვროს, ფაკულტეტების მიხედვით, დანართი 1; დანართი 2 და დანართი 3-ის შესაბამისად.

6. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აღდგენის მსურველი პირი, ვალდებულია სათანადო განცხადება რექტორის სახელზე წარმოადგინოს 2024 წლის 26 თებერვლის ჩათვლით.

7. აღდგენის მსურველი პირი, აღდგენაზე თანხმობის შემთხვევაში, მასზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ვალდებულია უნივერსიტეტის ანგარიშზე გადაიხადოს 100 (ასი) ლარი, რომელიც მას ჩაეთვლება წინსწრებით გადახდილ თანხად მომავალი სასწავლო სემესტრის ანგარიშში.

8. უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის ადმინისტრატორმა უზრუნველყონ მობილობის/შიდა მობილობის პროცესის წარმართვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ეს ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

10. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

11. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

12. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯიბრაშენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი

| № | საფეხური | ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის/სკოლის) დასახელება | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციათა ჩარჩოს კლასიფიკატორის მიხედვით | კვალიფიკაციის კოდი კვალიფიკაციათა ჩარჩოს კლასიფიკატორის მიხედვით | ეკვივალენტური ადგილების რაოდენობა | პროგრამაზე მიღების წინაპირობა (არსებობის შემთხვევაში) | პროგრამა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | აკრედიტებული (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი) | ავტორიზებული | აკრედიტებულ რეჟიმში ინსტიტუციური აკრედიტაციის დარჩენილი ვადით (გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი) |
| 1 | ბაკალავრიატი | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | სამართლის ბაკალავრი | 0421 | 30 | – | N229 2019 წლის 05 დეკემბერი | | |
| 2 | ბაკალავრიატი | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში | 1015 | 20 | – | N51 2020 წლის 24 მარტი | | |
| 3 | ბაკალავრიატი | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი | 0321 | 5 | – | არააკრედიტებული | ავტორიზებული | |
| 4 | ბაკალავრიატი | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ფსიქოლოგიის ბაკალავრი | 0313 | 20 | – | N325176 2022 წლის 15 მარტი | | |
| 5 | ბაკალავრიატი | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | საჯარო მმართველობის ბაკალავრი | 0413.1.3 | 25 | – | N240 2019 წლის 12 დეკემბერი | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ბაკალავრიატი | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრა | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი | 0413.1.2 | 40 | – | N46 2020 წლის 20 მარტი | | |
| 9 | ბაკალავრიატი | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ეკონომიკის ბაკალავრი | 0311 | 15 | - | N45 2020 წლის 20 მარტი | | |
| 10 | ბაკალავრიატი | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში | 1015 | 20 | | | | |
| 11 | მაგისტრატურა | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | სამართლის მაგისტრი | 0421 | 10 | სამართლის ბაკალავრი | N230 2019 წლის 05 დეკემბერი | | |
| 13 | მაგისტრატურა | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრა | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი | 0413 | 15 | - | N53 2020 წლის 24 მარტი | | |
| 18 | მაგისტრატურა | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | საჯარო მმართველობის მაგისტრი | 0413.1.3 | 15 | – | N60 2017 წლის 31 აგვისტო | | |
| 19 | მაგისტრატურა | სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის | სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი | 1015 | 5 | – | | | |

დანართი 2

| უმაღლესი განათლების საფეხური | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მისანიჭებელი კვალიფიკაცია | შიდა მობილობის კონტინგენტი |
|---|---|---|---|
| ბაკალავრიატი | ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში | 5 |
| | ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი | 5 |
| | ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი | 5 |

დანართი 3

| № | საგანმანათლებლო პროგრამა | ადგილების რაოდენობა | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
|---|---|---|---|
| 1 | ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | 5 | ინფორმატიკის ბაკალავრი |
| 2 | ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | 3 | ბიოლოგიის ბაკალავრი |
| 3 | სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | 12 | სპორტის ბაკალავრი |
| 4 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | 5 | განათლების მაგისტრი |